

„ნორჩი რეინჯერი“

შემაჯამებელი ანგარიში

ბათუმი, 2017 წელი

შინაარსი

1. ინფორმაცია „მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციას“ შესახებ
 - ☐ დაფუძნების ისტორია
 - ☐ ასოციაციის მიზნები
2. პროექტი „ნორჩი რეინჯერი“, პროექტის მიზანი და გათვალისწინებული ღონისძიებები
3. მტირალას ეროვნული პარკის „ნორჩი რეინჯერის“ პროექტის განხორციელების გამოცდილება
4. პროექტის მიხედვით განხორციელებული საქმიანობები
5. „მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის“ მიერ დამოუკიდებელად განხორციელებული ღონისძიებები
6. მონაწილე სკოლების ნორჩი რეინჯერების მიერ თავიანთ სკოლებში განხორციელებული საქმიანობები და სამომავლო გეგმები
7. პროექტის „ნორჩი რეინჯერის“ შედეგები
8. რეკომენდაციები

„მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია“

დაფუძნების ისტორია

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გლობალური გარემოს-
დაცვითი ფონდის დაფინანსებული (GEF) პროექტის „აჭარის დაცული ტერი-
ტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა“ ფარგლებში, რომლის მიზანია:
აჭარაში დაცული ტერიტორიების მართვის დახვეწა მათი საზღვრების გაფართოება და
ურთიერთკავშირის განმტკიცება უნიკალური კოლხური ტყეების უკეთ დასაცავად დაარსდა
„მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია“.

პროექტის კომპონენტები: აჭარის დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესება
და დაცული ტერიტორიების საზღვრების გაფართოება მცირე კავკასიონის
დასავლეთით

„მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია“.

➤ დაარსდა 2016 წლის 19 აგვისტოს

➤ **ასოციაციის დამფუძნებლები:**

დავით ხომერიკი - მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორი

გიორგი ქურიძე - მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორი

ლელია კახიძე - ხელვაჩაური, სოფ: ზედა ჩხუტუნეთი

მალხაზ დიასამიძე - ქობულეთი, სოფ: ხალა

➤ **აღმასრულებელი დირექტორი** - გულნაზ სურმანიძე



➤ **ლოგო**

➤ ელექტრონული ფოსტა: mmfriends2016@gmail.com

ასოციაციის მიზნები

- მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის გაძლი-
ერებისა და მისი საქმიანობის ეფექტურობის ზრდის ხელშეწყობა;

- მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების პოპულარიზების ხელშეწყობა
საზოგადოებაში;

- ადგილობრივი მოსახლეობისა და სხვა ადგილობრივი დაინტერესებული
მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა მტირალას და მაჭახელას დაცული
ტერიტორიების და მისი დამხმარე ზონის დაგეგმვასა და მართვაში;

- მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების დამხმარე ზონის სოფლების
სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების მხარდაჭერა;

- მტირალას და მაჭახელას მიმდებარე რეგიონის განვითარების ხელშეწყობა;

- მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიებისათვის და რეგიონის
განვითარებისთვის სახელმწიფოსა და დონორების მიერ გამოყოფილი თანხების
ხარჯვის გამჭვირვალობის და პროგრამების განხორციელების მონიტორინგი;

- მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების და რეგიონის განვითარებისთვის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა;
- მტირალას და მაჭახელას დამხმარე ზონების მოსახლეობას, ადგილობრივ თვითმმართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის მხარდაჭერა;
- საქართველოს დაცული ტერიტორიების მართვის და მმართველობის დეცენტრალიზაციის ხელშეწყობა;

პროექტი „ნორჩი რეინჯერი“-ს მიზანი და გათვალისწინებული ღონისძიებები

პროექტის მთავარი მიზანია ახალგაზრდა თაობაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება, მტირალას ეროვნული პარკის საქმიანობებში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა და ასევე სკოლის მოსწავლეებში ეკოლოგიური მონიტორინგის უნარების განვითარება.

ნორჩი რეინჯერის პროგრამა ძალიან პოპულარულია მსოფლიოს სხვადასხვა ეროვნულ პარკში.

პროექტის მიზნის განხორციელებისთვის დაგეგმილი ქმედებები:

- 60 მოსწავლის შერჩევა (10-15 წლის) მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონის სოფლის სკოლებიდან - ჩაისუბანის საჯარო სკოლა, გორგაძეების საჯარო სკოლა, ჩაქვის #1 საჯარო სკოლა, ჩაქვის გიმნაზია

- შერჩეულ მოსწავლეებთან სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება (ერთი დღე რეინჯერთან მტირალას ეროვნულ პარკში ვიზიტით; ეკო-ტურები: მაჭახელას ეროვნული პარკი, კოლხეთის ეროვნული პარკი; მარტვილისა და ოკაცეს კანიონები; კინჩხას ჩანჩქერი). **შენიშვნა:** პროექტში გათვალისწინებული იყო ეკო-ბანაკი ლაგოდების და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკებში, რომელიც დონორთან შეთანხმებით შეიცვალა ეკო-ტურით - კოლხეთის ეროვნულ პარკი (პრეზენტაცია, გასვლა პალიასტომის ტბაზე და მდინარე ფიჩორაზე), მარტვილის კანიონი, ოკაცეს კანიონი და კინჩხას ჩანჩქერი.

- საველე გზამკვლევის მომზადება და დაბეჭდვა ნორჩი რეინჯერებისთვის
- შემაჯამებელი ანგარიშის მომზადება და დაბეჭდვა საზოგადოებაში გასავრცელებლად

მტირალას ეროვნული პარკის „ნორჩი რეინჯერის“ პროექტის განხორციელების გამოცდილება აღნიშნული პროექტის განხორციელებამდე

მტირალას ეროვნულმა პარკმა პირველად 2009 წელს „ნორჩი რეინჯერი“-ს პროექტი ჯგუფების შექმნის ხელშეწყობა განხორციელა ორ სკოლაში ჩაქვის #1 საჯარო და გორგაძეების საჯარო სკოლაში. დაახლოებით 30 მოსწავლე იყო ჩართული სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში. ბოლო 6 წლის განმავლობაში - ძირითადად ეს იყო ადმინისტრაციის შენობაში პრეზენტაციები და გასვლები ეროვნულ პარკის ტერიტორიაზე.

პროექტის აქტივობების მიხედვით განხორციელებული საქმიანობები

„ნორჩი რეინჯერის“ პროექტი დაიწყო 2016 წლის 26 სექტემბრიდან. პროექტის ფარგლებში შერჩეულ იქნა 60 მოსწავლე, რომლებსთვისაც შეძენილი და გადაცემული იქნა მათსურები და კეპები.

დაიგეგმა და განხორციელდა ოთხივე შერჩეული სკოლის „ნორჩი რეინჯერებისთვის“ „ერთი დღე რეინჯერთან“ აქტივობა.

2016 წლის ნოემბერი

„ერთი დღე რეინჯერთან“ პროექტის ფარგლებში ჩაქვის 1 სკოლის „ნორჩი რეინჯერები“ მტირალას ეროვნულ პარკს სტუმრობდნენ. „ნორჩი რეინჯერები“ გაეცნენ ეროვნული პარკის უნიკალურ ბუნებას, მიიღეს თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება.



„მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციამ“ არამდგრადი ამინდების გამო დეკემბერში, იანვარსა და თებერვალში ვერ მოახერხა „ნორჩი რეინჯერები“-ს გაყვანა „ერთი დღე რეინჯერთან“ პროექტის ფარგლებში მტირალას ეროვნული პარკის ბილიკებზე.



2017 წლის მარტი

ჩაისუბნის და გორგაძეების საჯარო სკოლების „ნორჩი რეინჯერები“ ეწვივნენ მტირალას ეროვნულ პარკს. ეროვნული პარკის ბილიკებზე გასვლისას „ნორჩი რეინჯერები“ გაეცნენ პარკის უნიკალურ ბუნებას, დაასუფთავეს პარკის ტერიტორია, მიიღეს თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება.



2017 წლის აპრილი

„მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციამ“ „ერთი დღე რეინჯერთან“ აქტივობის ფარგლებში ორგანიზება გაუკეთა ჩაქვის გიმნაზიის გასვლას მტირალას ეროვნულ პარკში. „ნორჩი რეინჯერები“ გაეცნენ პარკის უნიკალურ ბუნებას, დაასუფთავეს პარკის ტერიტორია, მიიღეს თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება.



2017 წლის მაისი

„მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციამ“ პროექტით გათვალისწინებული ქმედება, რომელიც ითვალისწინებდა „ერთი დღე რეინჯერთან“ პროექტის ფარგლებში



კვლავ ჩაქვის #1 სკოლის გაყვანას მტირალას ეროვნულ პარკში, ჩაანაცვლა პროექტში ჩართული ოთ-



ხივე სკოლის 20 ნორჩი რეინჯერის გასვლით ბათუმის ბოტანიკურ ბაღში. ნორჩი რეინჯერები გაეცნენ ბოტანიკური ბაღის ისტორიასა და კოლხური ტყის

ნაწილს.



2017 წლის ივნისი

„მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის“ ორგანიზებით და მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ხელშეწყობით „ნორჩი რეინჯერებისთვის“ პროექტის აქტივობის „ვიზიტი მაჭახელას ეროვნულ პარკში“ ფარგლებში მოეწყო ეკო-ტური მთავარანგელოზის ბილიკზე. ეკო-ტურის ფარგლებში ნორჩი რეინჯერები გაეცნენ მაჭახელას ეროვნული პარკის ისტორიას, ფლორას, ფაუნას და ბუნების ღირსშესანიშნაობებს, ასევე ჩუტარდათ ლექცია-სემინარი.



ასოციაციის მიერ განხორციელებული დამატებითი აქტივობები კვარტალური შეხვედრები – ადმინისტრაციის შენობაში

2016 წლის 25 ნოემბერი

„ნორჩი რეინჯერის“ პროექტის ფარგლებში მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში გაიმართა პირველი შეხვედრა ნორჩ რეინჯერებთან, შეხვედრის მიზანი იყო მოსწავლეებსა და ჩართულ მხარეებს „ნორჩი რეინჯერის“ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების წარდგენა. ოთხივე სკოლის ნორჩი რეინჯერებისთვის დაიგეგმა კვარტალური შეხვედრების აქტივობები და თავიანთ შესაბამის სკოლაში დამოუკიდებლად ჩასატარებელი გეგმა გრაფიკის შედგენა (მტირალას ეროვნული პარკის „მწვანე კალენდარი“-ს (დანართი 1) მიხედვით). ნორჩ რეინჯერებს გადაეცათ მაისურები და კეპები ორგანიზაციისგან.



2016 წლის დეკემბერი


მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის შენობაში „ნორჩი რეინჯერის“ პროექტის ფარგლებში გაიმართა ღონისძიება - „მთის დღე - ნორჩ რეინჯერებთან ერთად“. პროექტში მონაწილე სკოლების „ნორჩმა რეინჯერებმა“ წარმოადგინეს პრეზენტაციები თემაზე „მთის დღე“. შეასრულეს დავალება-ნახატი თემაზე „ვინ არის ნორჩი რეინჯერი ჩემი წარმოდგენით“. ასევე, „მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის“ წარმომადგენელმა „ნორჩ რეინჯერებს“ წარუდგინა პრეზენტაცია - „მაჭახელას ეროვნული პარკი“. პროექტში მონაწილე სკოლების გამორჩეულ „ნორჩ რეინჯერებს“ გადაეცათ წამახალისებელი სიგელები.





2017 წლის მარტი

„მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციამ“ კვარტალურ შეხვედრაზე მტირალას ადმინისტრაციის შენობაში „ნორჩ რეინჯერებთან“ გამართა ღონისძიება. „ნორჩმა რეინჯერებ“-მა წარმოადგინეს პრეზენტაციები შემდეგ თემაზე: „წყალი და ადამიანი“ (ჩაქვის გიმნაზია); „ტყე შეუნახე შვილებსა“ (ჩაქვის #1 საჯარო სკოლა); „ადამიანის გავლენა ბუნებაზე“ (ჩაისუბანის



საჯარო სკოლა); „დაცული ტერიტორიების როლი აჭარაში“ (გორგაძეების საჯარო სკოლა). ასევე, მოეწყო ნახატების გამოფენა შემდეგ თემებზე: „გარემოს დაცვა ჩვენი მოვალეობაა“ (ჩაისუბნის საჯარო სკოლა), „შევუნარჩუნოთ პლანეტას მწვანე ფერი“ (ჩაქვის #1 საჯარო სკოლა), „ადამიანი და ბუნება“ (ჩაქვის გიმნაზია), „დავიცვათ ბუნება“ (გორგაძეების საჯარო სკოლა),

რომლებზედაც იმუშავეს თავიანთ სკოლებში. ასოციაციამ „ნორჩ რეინჯერებს“ გადასცა მასალა მტირალას ეროვნული პარკის შესახებ და სხვა დამატებითი მასალა ცნობიერების ამაღლების მიზნით.

2017 წლის ივნისი



„მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციამ“ ჩაატარა მესამე კვარტალური შეხვედრა მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის შენობაში „ნორჩ რეინჯერებთან“. შეხვედრაზე მოხდა წინასწარ ასოციაციის მიერ „ნორჩი რეინჯერებისთვის“ მიცემული მასალიდან (გზამკვლევი, პრეზენტაციები) მიღებული ცოდნის შემოწმება კითხვა-

პასუხის რეჟიმში. ასევე, მოეწყო კარვის გაშლის სწავლება. ადმინისტრაციის თანამშრომელმა ჩაატარა კონკურსი - „რა? სად? როდის?“



2017 წლის ივლისი



„მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის“ ორგანიზებით „ნორჩი რეინჯერის“ პროექტის ფარგლებში მოეწყო საინტერესო ეკო-ტური, რომლის ფარგლებშიც ჩაისუბნის, გორგაძეების, ჩაქვის #1 საჯარო სკოლების და ჩაქვის გიმნაზიის „ნორჩი რეინჯერები სტუმრობდნენ კოლხეთის ეროვნულ პარკს. „ნორჩმა რეინჯერებმა“ მოისმინეს პრეზენტაცია ვიზიტორთა ცენტრში კოლხეთის ეროვნული პარკის თანამშრომლებისგან - კოლხეთის ეროვნული პარკის ისტორია, ფლორა და ფაუნა, რითაც გაიღრმავეს ცოდნა. ასევე, პანტონითა და კატერით დაათვალიერეს კოლხეთის ბიომრავალფეროვნება. ნორჩმა რეინჯერებმა მოინახულეს მარ-

ტვილის კანიონი და კინჩხას ჩანჩქერი.



2017 წლის სექტემბერი



„მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის“ ორგანიზებით „ნორჩი რეინჯერის“ პროექტის ფარგლებში მოეწყო საინტერესო ეკო-ტური, რომლის ფარგლებშიც ჩაისუბნის, გორგაძეების, ჩაქვის #1 საჯარო სკოლებისა და ჩაქვის გიმნაზიის

„ნორჩი რეინჯერები“ სტუმრობდნენ კოლხეთის ეროვნულ პარკსა და ოკაცეს კანიონს. „ნორჩმა რეინჯერებმა“ მოისმინეს პრეზენტაცია ვიზიტორთა ცენტრში კოლხეთის ეროვნული პარკის თანამშრომლებისგან - კოლხეთის ეროვნული პარკის ისტორია, ფლორა და ფაუნა, რითაც



გაიღრმავეს ცოდნა. ასევე, პანტონითა და კატერით დაათვალიერეს კოლხეთის ბიომრავალფეროვნება. ნორჩმა რეინჯერებმა მოინახულეს ოკაცეს კანიონი.



2017 წლის 31 ივლისი

მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ "რეინჯერთა საერთაშორისო დღე" აღნიშნა, სადაც მიწვეულნი იყვნენ "ნორჩი რეინჯერები". ადმინისტრაციამ "ნორჩი რეინჯერებისთვის" მოაწყო ფილმის ჩვენება საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ. მათ ფილმის მეშვეობით მიიღეს ინფორმაცია რეინჯერების მუშაობის შესახებ, გაეცნენ რეინჯერის ყოველდღიურ საქმიანობას, გაიგეს დაცულ ტერიტორიაზე დაშვებული და აკრძალული ქმედებების შესახებ. მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციისგან "ნორჩ რეინჯერებს" სამახსოვროდ გადაეცათ მაისურები.



მონაწილე სკოლების ნორჩი რეინჯერების მიერ თავიანთ სკოლებში განხორციელებული საქმიანობები და სამომავლო გეგმები

ოთხივე სკოლის „ნორჩმა რეინჯერებმა“ დეკემბერ-იანვარში თავიანთ შესაბამის სკოლაში ჩამოაყალიბეს ეკო კლუბები და დაისახეს პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობები (დანართი 2).

2017 წლის თებერვალი



სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით „ნორჩმა რეინჯერებმა“ თავიანთ სკოლებში შექმნილ ეკო-კლუბებში დაგეგმეს და განახორციელეს ღონისძიებები თემაზე „მე ვეხმარები ბუნებას“.



მათ აღნიშნულ თემაზე მოამზადეს და წარუდგინეს პრეზენტაციები არა მარტო კლუბის წევრებს, არამედ სკოლის სხვა მოსწავლეებსაც. მოამზადეს ნახატები იგივე თემაზე.

2017 წლის მარტი

ნორჩმა რეინჯერებმა თავიანთ სკოლებში აღნიშნეს „მთის დღე“ და დარგეს ხეები სკოლის ტერიტორიაზე.




2017 წლის მარტი

გორგამეების საჯარო სკოლის ნორჩმა რეინჯერებმა დამოუკიდებლად ჩაატარეს კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა თემაზე - „როგორ დავეხმაროთ ბუნებას“.



2017 წლის აპრილი

სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით „ნორჩმა რეინჯერებმა“ თავიანთ სკოლებში შექმნილ ეკო-კლუბებში განახორციელეს აქტივობები თემაზე - „დედამიწის დღე“. მათ აღნიშნულ თემაზე წარუდგინეს პროექტები არა მარტო კლუბის წევრებს, არამედ სკოლის სხვა მოსწავლეებსაც.



„ნორჩი რეინჯერის“ სასკოლო სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით ჩაქვის #1, გორგამეებისა და ჩისუბნის საჯარო სკოლის „ნორჩმა რეინჯერებმა“ თავიანთ სკოლებში შექმნილ ეკო-კლუბებში განახორციელეს ქმედებები თემებზე: „ბუნების დაცვა და პოეზია“, „ბიომრავალფეროვნება“. აღნიშნულ თემებზე გააკეთეს პროექტები, ჩაატარეს პოეზიის სადამო და გამოავლინეს გამარჯვებული ბავშვები.



2017 წლის სექტემბერი

ჩაისუბნის საჯარო სკოლის „ნორჩმა რეინჯერებმა“ ლოზუნგით "დაასუფთავე შენი ბუნება" დაასუფთავეს სკოლის მიმდებარე დანაგვიანებული ტერიტორია. მათი მთავარი მიზანი იყო სუფთა გარემოში ცხოვრება.



პროექტის „ნორჩი რეინჯერის“ დადებითი შედეგები

პროექტი „ნორჩი რეინჯერი“ მტირალას ეროვნული პარკისთვის განხორციელდა წარმატებულად. სკოლების მოსწავლეები აქტიურად ღებულობდნენ მონაწილეობას დაგეგმილ ღონისძიებებში და ასევე, აქტიურობდნენ თავიანთ შესაბამის სკოლებში მიღებული ცოდნის სხვა მოსწავლეებზე გადაცემის მიზნით.

„ნორჩმა რეინჯერებმა“ აიმაღლეს ცოდნა დაცული ტერიტორიების, მტირალას ეროვნული პარკის და მაჭახელას ეროვნული პარკის შესახებ.

ასევე, გამოუმუშავდათ უნარ-ჩვევა დაგეგმონ და განახორციელონ დამოუკიდებელი ქმედებები თავიანთ სკოლაში.

„ნორჩმა რეინჯერებმა“ მოამზადეს მომდენო სასწავლო წლის საქმიანობების გეგმა (დანართი 3), რომლის განხორციელებასაც დაიწყებენ ახალი სასწავლო 2017-2018 წწ დაწყებისთანავე.

გადახალისდა „ნორჩი რეინჯერების“ ჯგუფის შემადგენლობა (დამამთავრებელ კლასში გადასვლის გამო ერთწლიანი გამოცდილების მქონე მოსწავლეებმა ასპარეზი დაუთმეს ახლებს) და „ნორჩი რეინჯერები“ გეგმავენ არ ჩააგდონ აღებული აქტიურობის ტემპი.

სკოლის მოსწავლეებს დაგეგმილ საქმიანობების განხორციელებისას მხარს უჭერენ და გვერდში უდგათ სკოლის მიერ ამ პროექტისთვის შერჩეული პედაგოგები, რომლებიც არ იშურებენ ცოდნას და ენერგიას მოსწავლეებისთვის.

პროექტში მონაწილე „ნორჩ რეინჯერებს“ და პედაგოგებს (შესაბამისი სკოლის მხრიდან პროექტში ჩართული პედაგოგი) გადაეცათ პროექტში წარმატებული მონაწილეობის სერთიფიკატი.

მტირალას ეროვნულ პარკს ყავს 60 „ნორჩი რეინჯერი“, რომელთა ჩართვა შესაძლებელია ადმინისტრაციის საქმიანობებში.

„ნორჩი რეინჯერი“ პოპულარული გახდა მონაწილე სკოლების და სხვა სკოლების მოსწავლეებში.

„მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციას“ და მტირალას ეროვნულ პარკს გააჩნია „ნორჩ რეინჯერებთან“ მუშაობის სამოქმედო გეგმა.

არსებული წარმატებული შედეგებიდან გამომდინარე გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მსგავსი პროექტის დაფინანსება მაჭახელას ეროვნული პარკისთვის.

მტირალას ეროვნული პარკის „მრჩეველთა საბჭოს“ წევრები გაეცნენ და იწონებენ აღნიშნულ პროექტს.

რეკომენდაციები

„მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციამ“ მტირალა და მაჭახელას ეროვნული პარკების ადმინისტრაციებთან ერთად იზრუნოს დამატებითი ფინანსების მოძიებაზე ბუფერული სოფლების სხვა სკოლების „ნორჩი რეინჯერის“ პროექტში ჩართულობის მიზნით.

აჭარის ა.რ. განათლების სამინისტროს ეთხოვოს წაახალისოს ეროვნული პარკების ბუფერული სოფლების პროექტში მონაწილე სკოლები და სხვა სკოლებიც, რომ მონაწილეობა მიიღონ „ნორჩი რეინჯერის“ პროექტში - პროექტის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით.

მტირალას ეროვნული პარკის „მრჩეველთა საბჭოს“ წევრების მხრიდან მხარდაჭერის გაზრდა აღნიშნული პროექტის მხარდასაჭერად.

დანართი 1

ეკოლოგიური კალენდარი

თებერვალი

- 2 თებერვალი - წყალ-ჭაობიანი ადგილების დღე
- 19 თებერვალი - ზღვის ძუძუმწოვრების დაცვის დღე

მარტი

- 1 მარტი - მეთევზისა და მონადირის დღე
- 14 მარტი - სიცოცხლის, წყლისა და მდინარეების დაცვის დღე
- 21 მარტი - ტყის დაცვის საერთაშორისო დღე
- 22 მარტი - ტყის დღე

აპრილი

- 1 აპრილი - ფრინველთა საერთაშორისო დაცვის დღე
- 7 აპრილი - ჯანმრთელობის დღე
- 15 აპრილი - ეკოლოგიური ცოდნის დღე
- 19-24 აპრილი - ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების დღე
- 22 აპრილი - დედამიწის დღე

მაისი

- 3 მაისი - მზის დღე
- 9 მაისი - ევროპის დღე
- 15 მაისი - კლიმატის დღე
- 22 მაისი - ბიო მრავალფეროვნების დღე
- 31 მაისი - ანტი-თამბაქოს დღე

ივნისი

- 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე
- 5 ივნისი - გარემოს დაცვის დღე
- 8 ივნისი - ოკეანის დღე
- 17 ივნისი - გაუდაბნოებასთან და გვალვებთან ბძოლის დღე
- 26 ივნისი - ნარკოტიკებთან ბრძოლის დღე
- 27 ივნისი - მეთევზეთა საერთაშორისო დღე

ივლისი

- 8 ივლისი - თევზჭერის დღე
- 11 ივლისი - მოსახლეობის საერთაშორისო დღე
- აგვისტო
- 6 აგვისტო - ბირთვული იარაღის გამოყენებასთან ბრძოლის დღე
- 12 აგვისტო - ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე

სექტემბერი

16 სექტემბერი - ოზონის შრის დაცვის დღე

25 სექტემბერი - ზღვის დღე

27 სექტემბერი - ტურიზმის დღე

ოქტომბერი

1 ოქტომბერი - მოზუცთა საერთაშორისო დღე

4 ოქტომბერი - ცხოველთა დაცვის დღე

6 ოქტომბერი - ჰაბიტატების დაცვის დღე

11 ოქტომბერი - სტიქიურ უბედურებათა საშიშროების შემცირების დღე

17 ოქტომბერი - სიღარიბესთან ბრძოლის დღე

ოქტომბრის თვის პირველი ორშაბათი - საცხოვრისის (საარსებო გარემოს, ჰაბიტატის) დაცვის საერთაშორისო დღე

31 ოქტომბერი - შავი ზღვის დაცვის დღე

ნოემბერი

17 ნოემბერი - ტოლერანტობის დღე

20 ნოემბერი - ბავშვთა საერთაშორისო დღე

დეკემბერი

3 დეკემბერი - პესტიციდების გამოყენებასთან ბრძოლის დღე

10 დეკემბერი - ადამიანთა უფლებების დღე

11 დეკემბერი - მთების დღე

18 დეკემბერი - ნაძვთა დაცვის დღე

29 დეკემბერი - ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების დღე

დანართი 2

სკოლების სამოქმედო გეგმა 2016-2017 წწ

სკოლები	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
ჩაქვის #1	ბეჯების და ლოგოების მომზადება, ნახატების კონკურსი	წყალ-ჭაობიანი ადგილების დღე (2თებერვალი)	ტყის დღე (22მარტი) დასუფთავების დღე	დედამიწის დღე (22აპრილი)	მზის დღე (3მაისი) ჯანსაღი ცხოვრების წესი	ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე (1ივნისი) გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე (5ივნისი)
ჩაქვის გიმნაზია	ბეჯების და ლოგოების მომზადება, ნახატების კონკურსი	ძუძუმწოვართა დაცვის დღე (19 თებერვალი)	ტყის დღე (22მარტი) დასუფთავების დღე	„დედამიწის დღე (22აპრილი)	ანტი თამბაქოს დღე (31 მაისი)	გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე (5ივნისი)
ჩაისუბანი	ბეჯების და ლოგოების მომზადება, ნახატების კონკურსი	ნახატების გამოფენა „მე ვეხმარები ბუნებას“	ტყის დაცვის საერთაშორისო დღე (21მარტი)	დედამიწის დღე (22აპრილი)	გადამფრენ ფრინველთა დაცვის დღე (14 მაისი)	მტკვრის დაცვის დღე (2ივნისი) გვალვასა და გაუდაბნობასთან ბრძოლის დღე (17ივნისი)
გორგაძეები	ბეჯების და ლოგოების მომზადება, ნახატების კონკურსი	პრეზენტაცია “როგორ დავეხმაროთ ბუნებას“	ტყის დღე (22მარტი)	ჯანმრთელობის დღე (7აპრილი) დედამიწის დღე (22აპრილი)	ბიომრავალფეროვ ნების დღე (22მაისი) ანტი თამბაქოს დღე (31მაი)	გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე (5ივნისი) ნარკოტიკებთან ბრძოლის დღე(26მაი)

დანართი 3

სკოლების სამოქმედო გეგმა 2017-2018 წელი

სკოლები	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
ჩაისუბანი		31 ოქტომბერი შავი ზღვის დღე	6 ნოემბერი ომის დროს გარემოს ექსპლუატაციის პრევენციის დღე	5დეკემბერი ნიადაგის მსოფლიო დღე	2თებერვალი ჭარბტენიანი ტერიტორიებ ის დღე	23 მარტი მეტეოროლო გიის დღე	22 აპრილი დედამიწის დაცვის დღე (მოწვეული სტუმარი- მტირალას და მაჭახელას მეგობართა ასოციაცია)	14 მაისი გადამფრენი ფრინველების დაცვის დღე	17 ივნისი გვალვასა და გაუდაზნოება სთან ბრძოლის დღე
ჩაქვის გიმნაზია	27 სექტემბერი - ტურიზმის დღე	17 ოქტომბერი სიღარიბესთან ბრძოლის დღე	17 ნოემბერი - ტოლერანტობის დღე	18 დეკემბერი - ნაძეთა დაცვის დღე	19 თებერ- ვალი - ზღვის ძუძუმწოვრებ ის დაცვის დღე	22 მარტი - ტყის დღე	19-24 აპრილი - ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების დღე	3 მაისი - მზის დღე	8 ივნისი - ოკეანის დღე
ჩაქვის #1	16 სექტემბერი- ოზონის დაცვის საერთაშორისო დღე 18 სექტემბერი- მსოფლიო წყლის მონი- ტორინგის დღე 21 სექტემბერი- საერთაშორისო მშვიდობის დღე 22 სექტემბერი- მსოფლიო უზრუნველყოფ ის დღე	4 ოქტომბერი- ცხოველების დაცვის დღე 6 ოქტომბერი- გარემოს დაცვის დღე 11 ოქტომბერი- ბუნებრივი კატასტროფების შეჩერების დღე 16 ოქტომბერი- მსოფლიო საკვების დღე	6 ნოემბერი- მსოფლიო დღე გარემოს დაცვისთვის შეიარაღებულ კონფლიქტების დროს	1 დეკემბერი- მსოფლიო შიდსის საწინააღმდეგო დღე 3 დეკემბერი- პესტიციდების საწინააღმდეგო დღე 11დეკემბერი მთების საერთაშორისო დღე	2 თებერვალი - მსოფლიო ჭაობების დღე 19 თებერვალი - ზღვის ძუძუმწოვრებ ის დავის დღე	14 მარტი- მდინარეები ს დაცვის საერთაშორ ისო დღე 15 მარტი - მსოფლიო ცხოველთა უფლებების დღე 22 მარტი - მსოფლიო წყლის დღე	1 აპრილი- საერთაშორისო მფრინველების დღე 22 აპრილი- დედამიწის დღე (მოწვეული სტუმარი- „მტირალას და მაჭახელას მეგობართა ასოციაცია)	9 მაისი- ევროპის დღე 22 მაისი- ბიომრავალფერ ოვნების დღე 31 მაისი- თამბაქოს საწინააღმდეგო დღე	
გორგაძე ბი	16 სექტემბერი- ოზონის შრის დაცვის საერთაშორისო დღე 24სექტემბერი- წყლის მონიტორინგის დღე	1-2-3 ოქტომბერი- დაასუფთავე გარემო 17ოქტომბერი- შემოდგომის დღესასწაული (მოწვეული სტუმარი- „მტირალას და მაჭახელას მეგობართა ასოციაცია“)	11 ნოემბერი- ენერგოეფექტუ რობის დღე	3 დეკემბერი- პესტიციდებთა ნ ბრძოლის დღე 11 დეკემბერი- ნიადაგის საერთაშორისო დღე	5თებერვალი- ეკოლოგიური კორიდორები	23 მარტი- მწვანე ეკოლოგია 28 მარტი- დედამიწის დღე	3 აპრილი- კამპანია „არა პოლიეთილენს“ 22აპრილი- დედამიწის დღე	10 მაისი- გადამფრენი ფრინველების დაცვის საერთაშორისო დღე 22მაისი- ბიომრავალფერ ოვნების დღე	6ივნისი- მდინარეების დაცვის დღე

დანართი 4

„მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის“ მტირალას ეროვნული პარკის „ნორჩ რეინჯერებთან“ მუშაობის სამოქმედო გეგმა 2017-2018 წწ

საქმიანობა	ჩატარების ადგილი/მონაწილეები
გაერთიანებული შეხვედრები (ნოემბერი, მარტი, მაისი)	მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის შენობა/60 ნორჩი რეინჯერი, ადმინისტრაციის თანამშრომლები
ეკო-ბანაკი (3 დღიანი) აპრილი 2018	მტირალას ეროვნული პარკი/20 ნორჩი რეინჯერი მტირალას და მაჭახელას ეროვნული პარკებიდან/ასოციაციის წარმომადგენლები/მტირალას და მაჭახელას ე.პ. თანამშრომლები/სკოლის მასწავლებლები
ვიზიტი სასკოლო ღონისძიებებზე	სკოლები

დანართი 5:

მტირალას ეროვნულ პარკის „ნორჩ რეინჯერებთან“ მუშაობის 2017-2018 წწ სამოქმედო გეგმა

სკოლა	სექტემბ	ოქტომბ	ნოემბ	დეკემბ	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
ჩაქვის#1	27/09 ტურიზმის საერთაშორისო დღე	31/10 შავი ზღვის დაცვის დღე	შეხვედრა ნორჩ რეინჯერებთან MMPAFAlთან ერთად	11/12 მთების დღე	2/02 წყალ-ჭაობიანი ადგილების დღე	შეხვედრა ნორჩ რეინჯერებთან MMPAFAlთან ერთად	19-24/04 ნაკრძალების და ეროვნული პარკების დღე	22/05 ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღე; შეხვედრა ნორჩ რეინჯერებთან MMPAFAlთან ერთად
ჩაქვის გიმნაზია			შეხვედრა ნორჩ რეინჯერებთან MMPAFAlთან ერთად	11/12 მთების დღე	2/02 წყალ-ჭაობიანი ადგილების დღე	22/03 წყლის დღე; შეხვედრა ნორჩ რეინჯერებთან MMPAFAl-სთან ერთად	1/04 ფრინველთა საერთაშორისო დაცვის დღე	22/05 ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღე; შეხვედრა ნორჩ რეინჯერებთან MMPAFAlთან ერთად
ჩაისუბანი	27/09 ტურიზმის საერთაშორისო დღე	31/10 შავი ზღვის დაცვის დღე	შეხვედრა ნორჩ რეინჯერებთან MMPAFAlთან ერთად	11/12 მთების დღე		შეხვედრა ნორჩ რეინჯერებთან MMPAFAlთან ერთად	19-24/04 ნაკრძალების და ეროვნული პარკების დღე	22/05 ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღე; შეხვედრა ნორჩ რეინჯერებთან MMPAFAlთან ერთად
გორგაძეები			შეხვედრა ნორჩ რეინჯერებთან MMPAFAlთან ერთად	11/12 მთების დღე		22/03 წყლის დღე; შეხვედრა ნორჩ რეინჯერებთან MMPAFAl-სთან ერთად	1/04 ფრინველთა საერთაშორისო დაცვის დღე	22/05 ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღე; შეხვედრა ნორჩ რეინჯერებთან MMPAFAlთან ერთად

